

როგორც ცნობილია, თბილისის „ბურვესტიკის“ კალათბურთულ ქალთა გუნდი ერთობლივი წვრთნისა და შეჯიბრებათა ჩასატარებლად იმყოფება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ტირანაში.

გუშინ გუნდის მწვრთნელის ლ. ძეგონისაგან მივიღეთ შემდეგი შენიშვნის დებულება: „პირველ მატჩში შევხვდით ადგილობრივ ნაკრებს და იგი ჩვენს სასარგებლოდ (56:39) დაგვათავრეთ.

7 ნოემბერს ვითამაშებთ უკანასკნელ მატჩს. რესპუბლიკის სპორტსმენებს ვულოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. საშობლოსაგან დავთხოვთ, მაგრამ გულითად მეგობრებში ვეზიმიობთ ჩვენც ამ ისტორიულ თარიღს“.

ლენინური კომკავშირის მიუძღვნას

გუშინ თბილისში „ბურვესტიკის“ სტადიონის მიდამოებში გაიმართა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საშობლო-საქვეყნო კრება. გოგონათა 500-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვება წილად ხვდა ლატვიელ მოსწავლეს ლ. გერაკას, ჰაბუტა შორის 1.000-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო რ. მიტროფანოვი (რსფსრ). ქალებიდან 2.000 მეტრზე უძლიერესის სახელი მიიღოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ოტკალენკომ (მოსკოვი). ვაჟთა შეჯიბრება 8.000 მეტრზე მოიგო ლენინგრადელმა ა. არტნიუქმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს რსფსრ-ს სპორტსმენებს.

შეჯიბრების დაწყებებიდან ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

მსოფლიო ჩემპიონის მონანილოვით

მეუნენის საჰაერო ოლიმპიადის შემდეგ პოლანდის მოკუდრაკეთა ფედერაციამ ვაგენინგენის საერთაშორისო საჰაერო ტურნირზე მიიწვია მსოფლიო ჩემპიონი ბოტვინიკი და გროსმანის ტერი ფლორი. პირველ ნომერს დაიწყო ეს შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა მოკუდრაკების გარდა მონაწილეობენ პოლანდიელი ოსტატები, დონერი, ბაუმეისტერი, ვან სპელტიგა და რუსელი.

პირველ ტურში ბოტვინიკმა დაამარცხა რუსელი, ფლორი-დონერი-სა და ვან სპელტიგა-ბაუმეისტერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. მეორე ტურში პოლანდიის ჩემპიონმა დონერმა მოუგო რუსელს. ბოტვინიკის უპირატესობით მიმდინარეობდა მისი პარტია ბაუმეისტერთან, მაგრამ ყაიმით დამთავრდა.

ჩვენი გაზეთის უამრავი ნომერი გამოვა 11 ნოემბერს

თაუთაუთ

საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საპარტიველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 134 (1804) • ბარსევი, 7 ნოემბერი, 1958 წ. • გამომცემის მე-15 წელი. • ფასი 30 კაპ.

სახეობოდ ფრიალებენ დროებები



დღეს ჩვენი თვალწინაა ქვეყნის ყოველ კუთხეში სადღესასწაულო დროები ფრიალებენ. საბჭოთა ხალხების დიდი მრავალწლოვანი ოჯახი ზეიმით იხდის თავისი არსებობის 41-ე წლისთავს, ჯერ არსებული გამარჯვებების, მიღწევების, წარმატებების წლისთავს.

ორმოცდაერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოქტომბრის ქარცეცხლი იშვა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფო; ორმოცდაერთი წელი — მსოფლიოსათვის ეს უმნიშვნელო პერიოდი, მაგრამ რა გრანდიოზული გარდაქმნები მოხდა ამ მოკლე ისტორიული მონაკვეთის მანძილზე! არა მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მთელს მსოფლიოში ყველა ამ გარდაქმნათა სათავე და საფუძველი იყო და არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — ექსპლოატატორთა, სოციალური უკუღმართობათა წინააღმდეგ დაძრული სახალხო რისხვა, რომელსაც კომუნისტების დიდი პარტია წარმართავდა საბრძოლველად.

ამ მიღწევების, ამ გამარჯვებების, დიდი ისტორიული გარდაქმნების უბრალო ჩამოთვლა თვალსაჩინო ხდის იმ გარემოებას, რომ რუსების პროლეტარატის რევოლუციური გამარჯვება არის ამავე დროს მსოფლიო ისტორიული გამარჯვება ყველა მშრომელისა, ყველა ექსპლოატირებულისა დედამიწის ყოველ კუთხეში: ჩამორჩენილი, ბნელი და აგრარული ქვეყნიდან ჩვენი საშობლო გადაიქცა მთელ მსოფლიოში მოწინავე, უმძლავრეს სახელმწიფოდ; საბჭოთა ხალხმა თავისი მოწინავე, გამობრძმედილი რაზმის, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მოიგერია მსოფლიო რეაქციის გააფთრებული იერიშები და უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადაიყვანა სოციალისტურ რელსებზე მთელი სახელმწიფოებრივი მეურნეობა. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ თავისი მძლავრი მხრებით, საკუთარი ძალებით გამოიტანა დიდი გარდაქმნების წლებიდან ქვეყნის ელექტროფიკაცია და ინდუსტრიალიზაციის საერთო სახალხო საქმე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმე და განახლებული, ხალხთა ძმურ ოჯახად შედგენილი, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფო — მუ-

შათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის სახელმწიფო ელვარე შუქურად აკაშკაშდა მთელი კაცობრიობის წინაშე ბედნიერი, ნათელი მომავლისაკენ გზის გამკვლევადა.

ეს იყო სოციალისტური სისტემის მსოფლიო-ისტორიული სისტემად გადაქცევის წინამძღვრები. იგი რეალური სინამდვილე იქცა მას შემდეგ, რაც მრისხანე გამოცდის წლებში საბჭოთა წყობილებამ, ხალხმა, მისმა გვირუკმა არჩია კიდევ ერთხელ დადასტურა თავისი უდიდესი სოციალისტური იდეა, ძალა, სიმტკიცე და სასიკვდილოდ შემურყა კბილებამდე შეიარაღებული ბოტვინიკის იერიშები. მას აქვთ ის შუქი, რომელიც დიადმა ოქტომბერმა დაანთო დედამიწის ერთმეექვსედზე, ის მოძღვრება, რომელიც წინ უძღოდა მას, კიდევ უფრო მძლავრად აელვარდა, კიდევ უფრო მძლავრად დაიპყრო მსოფლიოთა გულები.

ფიზკულტურა და სპორტი საზოგადოებრივი ცხოვრების ღვიძლი შვილია და, ისევე როგორც სხვა დარგები, უტყუარი ბარომეტრით ასახავს ამ თუ იმ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური წყობის რაობას. საფუძველი დაუდო რა მშრომელთა შემოქმედებითი ძალების ჯერარნახულ აყვავებას, სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმძლავრეს გასაოცარ განვითარებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევო-

ლუცია გახდა იმ ბრწყინვალე სპორტულ გამარჯვებათა დასაბაპი, რომლითაც დღეს სამართლიანად ამყობს საბჭოთა ხალხი.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა სახელმწიფოს წმიდათაწმიდა დევიზი გახდა ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისათვის. კერძოდ, მისი ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარებისათვის ზრუნვა. ამ დიადი ზრუნვის შედეგად, მთელი ამ ორმოცდაერთი წლის მანძილზე, წლიდან წლამდე

ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა №201

1958 წლის 7 ნოემბერი. ქ. მოსკოვი.

ამხანაგო ჯარისკაცობა და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულად იხდის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაერთე წლისთავს. ჩვენი საშობლო ამ დღესასწაულს ეგებება შესანიშნავი მოღწევებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ყველა ეს წარმატება შედეგია საბჭოთა ადამიანების გმირული შრომისა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მჭიდროდ დაარზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ეგებებიან XXI ყრილობას, აღსაცემენ მის წარაგებით მოიპოვონ შემდგომი წარმატებანი სახალხო მეურნეობის აღმავლობაში, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში. ამხანაგო რა თავისი ღონისძიებებს კომუნისტების აზრების დიად საქმეს საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და განუხრევლად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, პოულობს რა მთელი მშვიდობისათვის ყველა ძალების მხარდაჭერას. ამავე დროს, მშვიდობის მტრების საშინო საქმიანობის აქტივიზაციის პირობებში, საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს სმარობს თავისი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

აჩალებენ რა კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეტირებას, არმიისა და ფლოტის მეომრებმა კვლავაც უნდა აიმაღლონ პოლიტიკური შეგნება და მორალურ-საბრძოლო თვისებები, მტკიცედ დაუფლონ ახალ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, განამტკიცონ დისციპლინა და ორგანიზებულობა, გააძლიერონ რევოლუციური სიფიზილე და საბრძოლო მზადყოფნა.

ვულოცავ ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაერთე წლისთავს. საყოველთაო სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად გ ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა


დღეს, 7 ნოემბერს, მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალბით ჩვენი საშობლო დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში; ლენინგრადში, სტალინგრადში, სუვასტოპოლში, ოდესაში.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაერთე წლისთავს!

გაუმარჯოს კომუნისტების მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!


გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს კომუნისტების აზრებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი



გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე - სიმაგრეს, მშვიდობისა და სოციალიზმის ბურჯს!

დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები




ს ა ა მ შ რ ო მ ე ზ ს მ ო რ ი ს

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში ათ დღეს მიმდინარეობდა ოქტომბრის ზეიმისადმი მიძღვნილი შიდასკოლური პირველობა ფრენბურთში, შაშხი,

მძლეოსნურ სამხედრო და მცირეკალიბრის შაშხანიდან სროლაში, ფრენბურთისა და მძლეოსნობაში პირველობა მოიპოვეს № 1 სასწავლებლის წარმომადგენლებმა,

სროლაში გაიმარჯვეს № 2 სასწავლებლის წარმომადგენლებმა. შაშხი პირველ ადგილზე გამოვიდა ნ. ლევაია, ხოლო პირველობა — რ. ნიკულაძე.
ი. ბუხნიძე



აქ აღბეჭდილია საქართველოს II სპარტაკიადის სამედიცინო ნიშნის ე. წ. კიზები, რომლებიც წარმოდგენილია ჩვენი გაზეთის კონკურსზე. მარცხნივ პირველი ეკუთვნის ზ. ჯანვლასვილს (რუსთავი), დანარჩენი ორი მ. ჩახუნაშვილს (თბილისი).



ამას წინათ ქუთაისში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, სადაც ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა ნ. ხერხეულიძემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. შეჯიბრების ანგარიში ახ. შემდეგ ნომერში.
ს უ რ ა თ ე: ნ. ხერხეულიძე (ქვემოთ), აგივე ვარჯიშის დროს ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



სპორტშიც მოწინავე

პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის ძირითადი ფიზკულტურული კოლექტივი ერთერთ მოწინავედ ითვლება „კოლმეურნის“ ფიზკულტურულ ძირითად კოლექტივებს შორის. მეურნეობის ახალგაზრდობის ინიციატივით აქ მოაწვეს მარტივი ტიპის ფრენბურთის, კალათურთისა და ფეხბურთის მოედნები. ჩამოყალიბეს ჭიდაობის, ჭადრაკის, შაშხის სექციები. თავისუფალ დროს სოფლის ახალგაზრდები თავის იყრიან სპორტულ მოედნებზე და ერთმანეთს ეჯიბრებიან რგოლი-რგოლს, ბრიგადა-ბრიგადის.

საინჟინერო გაერკობით

კასპის ბიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტურისტულმა ჯგუფმა მოაწყო ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით კასპი-ზედაზენი. ლაშქრობის დროს, რომელიც ნორმა ტურისტებმა ოქტომბრის დღესასწაულს მიუძღვნეს, დათვალა ირეს მცხეთის რაიონის ისტორიული ძეგლები.
ი. მგელაძე.

საზოგადოებრივი განხილვის პირველი შედეგები

მშთ კომპლექსის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში. იგი ფიზკულტურის ინსტრუქტორთა, ფიზიკოსების მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ფიზკულტურულთა სფეროთა მსჯელობის საგნად იქცა. როგორც თათბირებზე, ისე ფიზკულტურულთა საერთო კრებებზე გამოხატული აზრები და აზროვნება იმ უდიდესი და სასარგებლო როლის შესახებ, რომელიც წლების მანძილზე ითამაშა მშთ კომპლექსმა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დანერგვისა და განვითარების საქმეში.

ბევრი გამოთქამენ საყვედურს კომპლექსის ნორმათა სტანდარტულობის, მათი ერთგვარობის შესახებ ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონისა და ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის, რომ არაა ვაშვალისწინებული ადგილობრივი პირობები, აგრეთვე კომპლექსის ცალკეული ნორმატივების ერთმანეთისაგან განსხვავების ხარისხსა და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად რესპუბლიკის ფიზკულტურული საზოგადოება მოწონებით შეხვდა ღონისძიებას მოქმედი კომპლექსის ძირითადი ვადიმუშავებ. შესახებ. წამოჭრილი იქნა მთელი რიგი საკმარისი წინადადებები და შესწორებები მშთ კომპლექსის ახალ პროექტში.

ყურადღებას იმსახურებს თბილისის განათლების განყოფილების ზავშვითა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორის დ. ფავლიანი

შვილის წინადადება იმის შესახებ, რომ სკოლებში ფიზიკური აღზრდის პროგრამებს საფუძვლად დაედოს მშთ კომპლექსი და ნორმები ჩაბარება სავალდებულო იყოს ყველა მოსწავლისათვის. ამ წინადადების მომხრეა ჩვენი ქვეყნის ერთერთი მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივის, სოფ. დიდი ჭიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზიკოსის მასწავლებელი ი. ლევეიშვილიც. იგი მოითხოვს, რომ კომპლექსის თითოეულ სახეობაში მოხდეს შეფასება, როგორც ქულებით, ისე მოსწავლეთათვის ნიშნის დაწერით.

ფიზიკოსის მასწავლებელთა თბილისის თათბირზე გამოითქვა ერთსულოვანი აზრი ზემოაღნიშნულ წინადადებათა სასარგებლოდ. წამოყენებული იქნა წინადადება, რომ მოსწავლე ახალგაზრდაში მშთ კომპლექსის პოპულარიზაციის ასაწყვედ ატესტატის ნიშნებში კუთვნილი ადგილი დაიკავოს ფიზიკური აღზრდის საგანად.

რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებსა და ფიზკულტურის მუშაკებში აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია მშთ კომპლექსის ახალ პროექტში გათვალისწინებულმა ზოგიერთმა ნორმატივმა.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ბერიანი და ბორჯომის შუშის ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. გელაშვილი მართლაც არიან, როცა ეხებიან მშთ II საფეხურის ერთერთ ნორმატივს — მორტორის მართვას. არ უნდა დავავიწყდეს, რომ მშთ II საფეხურის კომპლექსში ამ ნორმატივის შეტანა საგრძობლად შეამცირებს ამ საფეხურზე ჩამბარებულთა რაოდენობას, რომ იგი საკმაოდ დაბარკობებს გვეგების შესრულების საქმეს. აქვე უნდა შევნიშნოთ,

რომ მორტორის მართვის ნორმატივი ქალთათვის სავალდებულო არაა და თუ ახალი კომპლექსის დამტკიცების შემდეგ დაგვრდება ძალაში დარჩა, კოლექტივები შეეცდებიან მშთ II საფეხურზე გვეგები შეასრულონ ქალების ხარჯზე. ამრიგად, როგორც მორტორის მართვის, ისე სროლის ნორმების ჩაბარება გაზრდილ მოთხოვნებს წაუყენებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და ცალკეულ უწყებებს, რომელთაც საამისო მატერიალური ბაზა არ გააჩნიათ. ამიტომ საჭიროა ამ საქმეს უხელმძღვანელონ დოსაფის ორგანიზაციებმა. ე. ი. ამ ნორმების ჩაბარებაში მთავარი სიტყვა უნდა თქვას დოსაფის ორგანიზაციებმა.

კამათს იწვევს ცურვის ნორმების ჩაბარების საკითხიც. რომ არ შეეგებოთ ცალკეულ რაიონებს, მაგალითისათვის საკმარისია თბილისის სინამდვილეც. ცნობილია, რომ დღესათვის არსებული საცურაო აუზები ვერ აკმაყოფილებენ იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რაც საჭიროა ათასობით იმში და მშთ ნიშნისათვის მოსამზადებლად.

სამუშეობრივად, დღემდე ბევრს ჰგონია, რომ ადგილებზე საცურაო აუზების მშენებლობა წარმოადგენს ვადამდებულ პრობლემას, როცა მის მშენებლობაზე საკუთხის დაყენებას წლობით ვადასწვენ შორეულ მომავალში. ფაქტები კი სხვას აღაპარკობენ. იქ, სადაც ადგილებზე პარკული და საბჭოთა ორგანიზები დაინტერესებული არიან სპორტული ბაზების მშენებლობით, საჭმელე წინ მიდის. თუ კი ტყიბულში, თელავში, დუშეთში, ახალციხეში და სხვაგან შეძლებს საცურაო აუზების მშენებლობა, რატომ არ შეიძლება იგივე გავეუბნინათ, ვთქვათ, ზუგდიდში, მახარაძეში, გურჯაანში და

სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამაში ჩვენს რესპუბლიკაში ვერ ვნახავთ ისეთ ქალაქსა და რაიონს, სადაც არ იყოს მარტივი საწყლოსნო სადგურის მოწყობის შესაძლებლობა.

მშთ კომპლექსისადმი ინტერესისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით წამოყენებულ იქნა წინადადებები, რათა, როგორც წესი, ყოველწლიურად ჩატარდეს შეჯიბრებები მშთ მრავალქილში, დაწყებული ფიზკულტურის კოლექტივებიდან და დამთავრებული სსრ კავშირის პირველობით. გამოითქვა აზრი აგრეთვე იმის შესახებ, რომ მშთ მრავალქილში (ვაეუბი — ხუთქიდი, ქალედი — სამქილი) შეტანილ იქნას სრულიად საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია.

კომპლექსის სტრუქტურის თაობაზე შეტანილი იქნა წინადადებანი ზოგიერთი ნორმატივის შესწორების მიზნითაც. ეს შეეხება მშთ მეორე საფეხურზე ჩაბარების წინ მესამე სპორტული თანრიგის აუცილებლობას.

რიგი ამხანაგები ეხებიან ახალ პროექტში გათვალისწინებულ მშთ სამედიცინო ნიშნების სახეობათა გაორკეცვლად და მეტ რაოდენობასაც, რაც გაართულებს ორგანიზაციულ მუშაობას. ბევრს მიზანშეწონილად მიიჩნია დარჩეს სამედიცინო ნიშნითა აღრიხნული რაოდენობა და ე. ი. არსებულ საფეხურთა რაოდენობაც. ეს ნაკარნახევი იმითაც, რომ იმში კომპლექსში არის მოთხოვნილება, რომელიც ამ ნორმატივების ჩამბარებელს საშუალებას აძლევს ივარჯიშოს მშთ I საფეხურის ჩასაბარებლად. მშთ I საფეხურში მოცემული მოთხოვნები საფუძველს უყრის მშთ II საფეხურის ნორმატივების ჩაბარებას გარკვეულ დროში, ეს უკანასკნელი კი შემ-

დგომი ნაბიჯია სპორტის რომელიმე სახეობაში განსაკუთრებული ვარჯიშით მოკლე დროში მიღწეულ იქნას მესამე თანრიგის სპორტის რომელიმე სახეობაში.

რიგი ამხანაგები გამოთქამენ აზრს იმის შესახებ, რომ მშთ I საფეხურის ნორმების საწყისები 100 მეტრზე რბენაში (15,6), ყუმაბარის ტყორცანში (25მ), ბირთვის კერაში (5 მ 50 სმ) ძალზე დაქვეითებულია და საჭიროა მათი გადიდება. ამასთან, მე შგონია, მიზანშეწონილია თუ 30-40 წლამდე ქალები და 40-50 წლამდე კაცები მშთ II საფეხურის ჩაბარებისას დაჯილდოვდნენ მშთ განსაკუთრებული სამედიცინო ნიშნებით. საქმე უნდა წარმოართოს ისე, რომ მშთ ნორმების ჩაბარება იყოს საწარმოების, დაწყებული ჯგუფების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სკოლების, უმაღლეს სასწავლებელთა, სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

საყვედურის ღირსნი არიან აფხაზეთისა და აქარის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის და სხვა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც თავს აჩივებენ კომპლექსის ახალი პროექტის განხილვასა და თავიანთ წინადადებათა გამოგზავნას კომპლექსის ახალი პროექტის განხილვის ვადა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული საზოგადოებრიობის მოთხოვნით გაგრძელებულია I დეკემბრამდე. ეს დრო უნდა გამოვიყენოთ კომპლექსის ახალი პროექტის უფრო მეტად, უფრო ღრმად გასაცნობად და წარვადგინოთ ჩვენი შენიშვნები და შესწორებები მის ყოველ მხრივ გასაუმჯობესებლად.

გაუმარჯოს უძლეველ საბჭოთა ხალხს, კომუნისმის მშენებელ ჩვენს გმირულ, შემოქმედ ხალხს!

თბილისელ მოჭიდავეთა ჩემპიონი



კუთხისის ჩემპიონი

საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ ბათუმში ჩატარდა, სპორტული საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევდა ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორი წარმატებით გამოვიდნენ მათგან ქუთაისელი მოჭიდავეები. მათ ჩემპიონატში 5 პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს. საინტერესო იყო შესძლებდნენ თუ არა ისინი წელსაც თავის გამოჩენას.

უმჩატეს წონაში სპორტის ოსტატმა ზ. შეყრილაძემ (ქუთაისი) მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სპატიო ტიტული, დაამარცხა რა დინაში თბილისელი ვ. კახარაძე, მხატვ წონაში ო. ვეჯემ ფონლორა ბრძოლის მოგებით (ზ. შერეხელიძესთან) გაინაღდა პირველი ადგილი. მესამე ადგილი ამ წონით კატეგორიაში წილად ზედა ახალგაზრდა მზარდ მოჭიდავეს ქუთაისიდან ა. ნუტუხიძეს.

დაბალში ბრძოლით აღინიშნა შეხვედრები ქვემსუბუქ წონაში, აქ ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. ა. ჩხილაძეს (ქუთაისი), შ. სეფაშვილს, ბ. ხარბაძეს (ორივე თბილისიდან) და ბევრს კიდევ სხვას,

გამარჯვების თანაბარი შანსები ჰქონდათ. ძლიერად ჩაატარა ფინალური ბრძოლები შ. სეფაშვილმა, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონატში პირველი ადგილი. ჩისლაძე მეორე საპრიზო ადგილზე დარჩა.

წარუმატებლად გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი მ. ასათიანი (მსუბუქი წონა). მან ფინალში წააგო ორივე შეხვედრა და მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება დამსახურებულად მოიპოვა სპორტის ოსტატმა მ. ლუღუშაშვილმა. მეორე ადგილი წილად ზედა ვ. მინასიანს. ქვესაშუალო წონაში აშკარად იგონებოდა დ. გვანცელაძის უპირატესობა. ოთხი შეხვედრის დამთავრებას მან სამანხევარი წუთი მოანდობა, მხოლოდ რ. ტუხულოვმა გაუძლო გვანცელაძის 10 წუთს, რის შემდეგ მანაც იწყნია სუფთა დამარცხების გემო. საშუალო წონაში ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო მ. კილაშვილმა. იგი ვახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ქუთაისელი სპორტის ოსტატი თ. მეფარიშვილი და ბათუმელი ა. ფაღავა. ქვემძიმე წონაში გამარჯვების

მთავარი პრეტენდენტები იყვნენ თბილისელი ა. სიხარულიძე და ქუთაისელი გ. სინაურიძე. გადამწყვეტმა ბრძოლამ მათ შორის ვერ გამოავლინა უძლიერესი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ. რესპუბლიკის ჩემპიონი ვახდა სიხარულიძე, რომელსაც სუფთა მოგებათა უფრო მეტი რაოდენობა ჰქონდა, მესამე ადგილი ამ წონით კატეგორიაში წილად ზედა ბათუმელ გ. ხალვაშს.

წინათ მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრები მაყურებელთა მიანდამაინც დიდ ინტერესს არ იწვევდა, რადგან შეხვედრების მსვლელობაში იშვიათად თუ კეთილბოლოა რაიმე ილეთი. წელს კი პირველი, ამ წონით კატეგორიის მოჭიდავეებმა საკმაოდ კარგი ოსტატობა და რაც მთავარია, აგრესიული სტილი გამოავლინეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გ. კითავამ, რომელმაც მოიგო ჩემპიონის წოდება.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის მოჭიდავეთა კოლექტივმა, რომლის წევრებმა 8 წონით კატეგორიიდან 7-ში გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი, ხოლო მესამეზე ბათუმელი სპორტსმენები.

გასულ ჩემპიონატში წარმატებას მიადწიეს სამხრეთ ოსეთის მოჭიდავეებმა. მათ თბილისის ნაკრები გუნდის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავეს. წელს არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთმა შეჯიბრებაზე ჩატომლაც მხოლოდ ქაბუჯი მოჭიდავეები ჩამოიყვანა.

შეჯიბრებამ ნათელიყო ახალგაზრდა სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის ზრდა. განსაკუთრებით აღინიშნის ღირსნი არიან: ზ. შეყრილაძე, ო. ვეჯემ, შ. სეფაშვილი და სხვები. ჩემპიონატის ნორმალურ მსვლელობას ხელი შეუწყო მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი გ. თარგამაძე) ზუსტმა და ობიექტურმა მუშაობამ, აგრეთვე აპარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საქმიანმა დახმარებამ.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები წელს მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატში. საქართველოს ნაკრები გუნდი უკვე დაკომპლექტდა და გადის უკანასკნელ საწვრთნელ მეცადინეობას.

მ. კახიანიძე,
სახელმწიფო მწვრთნელი ჭიდაობაში.

დამთავრდა სარაიონო სასკოლო პირველობა ფეხბურთში, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა მასში მონაწილეობა მიიღო ათმა საშუალო სკოლამ. შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა გვერდის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა და პირველი ადგილი დაიკავა.

18-27 ოქტომბერს ჩატარდა სარაიონო პირველობა ფრენბურთში, რომელიც მიემდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 10 სასკოლო და 8 საკოლმეურნეო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი. დასკინითი შეჯიბრება ზონებში გამარჯვებული გუნდებისათვის გაიმართა გუმთაპის სპორტულ მოედანზე. პირველ ადგილზე გამოვიდა გვერდის საშუალო სკოლის გუნდი.

ჯ. უაღიბა



სპორტის "საქართველო"

პრესის მიმოხილვა

როგორც ურნალისტები აღნიშნავენ, ბრაზილიის ფეხბურთელებზე შეიძლება დაუსრულებელი ლაპარაკი. რაც დრო გადის, საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების პრესაში საინტერესო ცნობები ქვეყნდება მათ შესახებ. ჩვენი გაზეთის მკითხველები, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან გვთხოვენ დაწვრილებით მოგვთხროთ მათ მსოფლიო ჩემპიონის შესახებ. ვსარგებლობთ საბჭოთა და დემოკრატიული ქვეყნების მიერ გამოქვეყნებული ურნალ-გაზეთების მასალებით და ვასრულებთ მათ თხოვნას.

ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში. მონტევიდეოში, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე 1930 წელს ეროვნული ნაკრები გამოვიდა ცუდად, რადგან ცნობილმა პროფესიონალებმა უარი თქვეს უფასოდ დაეცაოთ თავიანთი ქვეყნის სპორტული ღირსება. მაშინ ბრაზილიელებმა წააგეს იუგოსლავიის გუნდთან და გამოვიდნენ შეჯიბრებიდან. 1934 წელს ეროვნული ნაკრები დამარცხდა ესპანეთთან. მომდევნო მსოფლიო პირველობაზე, რომელიც საფრანგეთში მოეწყო, ბრაზილიამ გამოიყვანა შედარებით ძლიერი კოლექტივი, დაამარცხა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები და იტალიასთან წაგების შემდეგ დაიკავა მესამე ადგილი.

ონატის ჩატარება, რისთვისაც აშენებულ იქნა მსოფლიოში უდიდესი სტადიონი „მარაკანა“ 200.000 მაყურებლისათვის. მწვრთნელ ფლავიო კოსტას ხელმძღვანელობით ბრაზილიამ გამოიყვანა ძალზე ძლიერი გუნდი, რომელმაც დაამარცხა მექსიკა — 4:0, ფრე გააკეთა შევიცარაისთან — 2:2, მოუგო იუგოსლავიას — 2:0, შვეიცარიას — 7:1 და ესპანეთს — 6:1.

გუნდის წევრები ბრწყინვალედ ურტყამდნენ კარში, ბურთები გააქონდათ უძნელეს მდგომარეობიდან. დარჩენილი იყო შეხვედრა ურუგვაის გუნდთან, რომელიც იმ დროს არ ითვლებოდა ძლიერ მეტოქედ და იგი ბრაზილიაში ჩამოვიდა არა როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთელების სეროზული მეტოქე, არამედ როგორც კეთილი მეზობელი. ბედმა გაუღიმა ურუგვაელებს. ისინი დაუმარცხებლად გვიდნენ ფინალში, რომელიც 16 ივლისს უნდა შემდგარიყო. ამ დღისათვის მთელი ბრაზილია მზად იყო უდიდესი ეროვნული დღესასწაულისათვის, ხომალდები შეჩერდნენ რეიდზე სადღესასწაულო სირენების მიცემის მოლოდინში. ათასგვარი შუშუნა მზად იყო პაერში ასაყორცნად, მზად იყო აგრეთვე გაზეთების სპეციალური ნომერები სენსაციური ამბებით ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვების შესახებ.

გაიტანეს მეორე და გადამწყვეტი ბურთი.

სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები, რომლებიც მზად იყვნენ ზემისათვის, ადგილზევე გაიყინენ და აქ დარჩნენ გვიანდამდე. მთელს ბრაზილიაში ტროლდნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ერთ კვირაზე მეტს გავრძელდა გლოვა.

ბრაზილიაში არ არას ფეხბურთის სკოლები. — სწორს ლაქურე ანდრადეს-თუმეა ზოგაერთი ძეგლი ცდილობს ჩამოაყალიბოს იგი, მანამდე კი კლუბი ყოფილბობს ფეხბურთელს, რომელიც გაიზარდა პატარა, ან მოყვარულ კლუბებში. ამჟამად ფეხბურთი ბრაზილიაში სპორტის ეროვნული სახეობაა. ასობით ათას ადამიანთა ლაპარაკი მხოლოდ ამ თემის ვარშემო ტრიალებს. ბრაზილიელი ბავშვები ყველა გასარბობიდან უპირატესობას მხოლოდ ფეხბურთს ანიჭებდნენ. ამ ქვეყნის დიდი საშუალებას იძლევა თორმეტწევ თვეს ჩატარდეს ფეხბურთის მატჩები. მართალია, მთავრობა დიდი სიცხებების გამო კრძალავს ჯანგარსა და თებერვალში

ოფიციალური თამაშების ჩატარებას, მაგრამ ამ პერიოდში დამის საათებში შინც იმართება მეგობრული შეხვედრები და ჩემპიონატის მატჩები.

ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში. მონტევიდეოში, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე 1930 წელს ეროვნული ნაკრები გამოვიდა ცუდად, რადგან ცნობილმა პროფესიონალებმა უარი თქვეს უფასოდ დაეცაოთ თავიანთი ქვეყნის სპორტული ღირსება. მაშინ ბრაზილიელებმა წააგეს იუგოსლავიის გუნდთან და გამოვიდნენ შეჯიბრებიდან. 1934 წელს ეროვნული ნაკრები დამარცხდა ესპანეთთან. მომდევნო მსოფლიო პირველობაზე, რომელიც საფრანგეთში მოეწყო, ბრაზილიამ გამოიყვანა შედარებით ძლიერი კოლექტივი, დაამარცხა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები და იტალიასთან წაგების შემდეგ დაიკავა მესამე ადგილი.

თუ კი 1958 წელს ბრაზილიის ფეხბურთის უდიდესი გამარჯვების წელი იყო, ამაგიეროდ, 1950 წლის 16 ივლისი ითვლება ამ ქვეყნის ყველაზე უფრო ტრაგიკულ თარიღად. ამ წელს ბრაზილიას დეველა მსოფლიოს მორიგი ჩემპი-

ონატის ჩატარება, რისთვისაც აშენებულ იქნა მსოფლიოში უდიდესი სტადიონი „მარაკანა“ 200.000 მაყურებლისათვის. მწვრთნელ ფლავიო კოსტას ხელმძღვანელობით ბრაზილიამ გამოიყვანა ძალზე ძლიერი გუნდი, რომელმაც დაამარცხა მექსიკა — 4:0, ფრე გააკეთა შევიცარაისთან — 2:2, მოუგო იუგოსლავიას — 2:0, შვეიცარიას — 7:1 და ესპანეთს — 6:1.

გუნდის წევრები ბრწყინვალედ ურტყამდნენ კარში, ბურთები გააქონდათ უძნელეს მდგომარეობიდან. დარჩენილი იყო შეხვედრა ურუგვაის გუნდთან, რომელიც იმ დროს არ ითვლებოდა ძლიერ მეტოქედ და იგი ბრაზილიაში ჩამოვიდა არა როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთელების სეროზული მეტოქე, არამედ როგორც კეთილი მეზობელი. ბედმა გაუღიმა ურუგვაელებს. ისინი დაუმარცხებლად გვიდნენ ფინალში, რომელიც 16 ივლისს უნდა შემდგარიყო. ამ დღისათვის მთელი ბრაზილია მზად იყო უდიდესი ეროვნული დღესასწაულისათვის, ხომალდები შეჩერდნენ რეიდზე სადღესასწაულო სირენების მიცემის მოლოდინში. ათასგვარი შუშუნა მზად იყო პაერში ასაყორცნად, მზად იყო აგრეთვე გაზეთების სპეციალური ნომერები სენსაციური ამბებით ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვების შესახებ.

დაიწყო მატჩი. ბრაზილიელებმა გაიტანეს პირველი ბურთი. ტრიბუნებზე საზეიმო განწყობილება იყო. ყველასათვის მოულოდნელად სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს, რასაც ბრაზილიელები არ მოულოდნენ და ოდნავ დაიზნენ. ამოკარგად ისარგებლეს სტუმრებმა,

ნაკრებს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიგო. — დასძინს ლაქურე ანდრადეს.


ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვების ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ქვეყანაში, თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი მონაწილეობდა გამარჯვებულების დღე მიძღვნილ გრანდიოზულ დღესასწაულში. რიო-დე-ჟანეიროში ფეხბურთელებს შეხვედა მილონ ნახევრამდე კაცი. ქუჩებში, სადაც სპორტსმენებს უნდა გაველოთ, იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ქალაქის ტრანსპორტი უძლებრი აღმოჩნდა დემონსტრანტების გადასაყვანად. ათასობით ადამიანს იმ ღამეს ეძინა მოედნებსა და ბალებში.

(გაგრძელება მე-4 გვ.)


გაიტანეს მეორე და გადამწყვეტი ბურთი.

სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები, რომლებიც მზად იყვნენ ზემისათვის, ადგილზევე გაიყინენ და აქ დარჩნენ გვიანდამდე. მთელს ბრაზილიაში ტროლდნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ერთ კვირაზე მეტს გავრძელდა გლოვა.

1954 წელს ბრაზილიამ მოუგო მექსიკასა და იუგოსლავიას, დამარცხდა იმ დროს უნგრეთის ძალზე ძლიერ ნაკრებთან და აი, 28 წლის შემდეგ ბრაზილიამ გაიმარჯვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნის ნაკრები არ იყო აბსოლუტურად საუკეთესო. სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ჩემპიონატებზე ბრაზილია გამოდიოდა უფრო ძლიერა შემადგენლობით. ამჟამად ჩვენთან ძლიერი ფეხბურთელებს ისეთი დიდი რაოდენობაა, რომ შეიძლება მათგან შედგეს ათი გუნდი, რომელიც თამაშის კლასით არ ჩამოუვარდებოდა იმ ეროვნულ



ფოტო ბ. პაიჭაძისა.



საქართველო „საქართველო“

(დასასრული)

ზეიმობდა მთელი ბრაზილია. გარკვევის ცნობის მოსვლის შემდეგ რამდენიმე წუთში დაიკრიველდა ყველა კოსკი, რომელიც სასმელებით ვაჭრობდა.

ამჟამად ბრაზილიაში მიმდინარეობს კომბანია, რომლის მიზანია ქალაქი ნიუ გრანდეს შეეცვალოს სახელი და დაერქვას „გარინია“ — ეროვნული ნაკრების წევრის სახელი, რომელიც ამ ქალაქში დაიბადა. ბრაზილიის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ პელემ თავის მშობლიურ ქალაქ ბაურუსს მკვიდრთაგან საჩუქრად მიიღო სახლი, რომელიც 3.000 კრუზეირო ღირს და ამერიკელი მანქანა „ფორდის“ უკანასკნელი გამოშვება. ამას გარდა ბაურუს მუნციპალიტეტმა საბჭოთა გადაწყვეტა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე გამოაკრას აბრა წარწერით: „პელე, მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში, 17 წლის“.

საჩუქრები მიიღეს თავყანის-მცემლებისაგან აგრეთვე სხვა ფეხბურთელებიც. საინტერესოა კიდევ ერთი შემთხვევა, ქალაქების რიოდე-ჟანერიოს და სან პაულოს ხელისუფლება უარზე იყო მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის დღე უქმედ გამოცხადებნა, მაგრამ, ამ ქალაქებს მცხოვრებლები არ გამოვიდნენ. სამუშაოზე, რის გამო ფაბრიკები და კომერციული დაწესებულებები დაკეტულ იქნენ.

ბულგარელი ჟურნალისტის ანტონოვ-ტონიჩის აზრით ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვების საიდუმლოება არა მარტო



მათ ბრწყინვალე ტექნიკასა და ტაქტიკაშია, არამედ ბრაზილიელ ფეხბურთელთა უმაგალითო დისციპლინაში. ბულგარელი ჟურნალისტი ამბობს, რომ გუნდში მწვრთნელის სიტყვა კანონია. ინგლისელებთან მატჩის შემდეგ მწვრთნელი ფოლა უქმყოფილო იყო დიდის სპრინტით მეტისმეტი გატაცებით და ბურთის გადაცემის დაყოვნებით. ამიტომ მან დიდის ნება არ დართო ეთამაშა მომდევნო მატჩში სსრ კავშირთან. საჭირო გახდა ბოდიშები და თხოვნა არა მარტო დიდის, არამედ ყველა ამხანაგის სახელით, რათა მწვრთნელს მისთვის თამაშის ნება დაერთო.

მეტოქეთაგან განსხვავებით ბრაზილიელები ცოტას დარბიან. მაგალითად, თუ რომელიმე სხვა მოთამაშეს 90 წუთის განმავლობაში მოუხდა 15 კილომეტრის გარბენა, დიდი ვევა, ან ზიტო — ყველაზე მოძრაი ბრაზილიელი ფეხბურთელები, ხუთ კილომეტრამდე გაიბრუნენ. რით ავსნათ ეს? იმით, რომ ისინი არ დარბიან? არა, როგორ არ დარბიან. მაგრამ დარბიან იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია. ყველა სხვა გარემოებაში მათ ნაცვლად დაქრის ბურთი, რადგან იგი ყველაზე ამტან და სწრაფ ფეხბურთელზე ამტანი და სწრაფია. როგორც ჩანს ამ დარგში „ფეოლას ბიჭებმა“ დანერგა

რაციონალიზმი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდდა-მხოლოდ უმაღლეს ტექნიკურ და იდეალურად ზუსტ გადაცემას და უფლებულ ფეხბურთელებს. ეროვნულ ნაკრებში არ ღებულობენ ფეხბურთელს, რომელსაც არ შეუძლია 100 მეტრის 10,9 წამში ვარბენა (პელეზე ამბობენ, რომ ერთხელ მან 10,3 წამიც კი აჩვენა). პირველობის მიმდინარეობისას და შემდეგაც სპორტული და არა სპორტული გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ მსოფლიო ჩემპიონთა ჟონგლიორულ ტექნიკას. ბრაზილიელთა ყველა „განძიდან“ ეს მართლაც ბრწყინვალე და თვალისმომკრელო იყო. ძალზე გაოცდნენ ჟურნალისტები, რომლებიც დაესწრნენ ერთ-ერთ წვრთნას ფინალური მატჩის წინ, რომ სამხრეთ-

ამერიკელები საათნახევრის განმავლობაში ვარჯიშობდნენ ყველაფერში, გარდა ინდივიდუალური ტექნიკისა. ზოგერთმა ჰკითხა ფეოლას: როდისღა ხეწავთ ტექნიკას? — ეროვნული გუნდი ამას საერთოდ არ აკეთებს. — უბა სუბა მან, მერე ხელით თავის ბიჭებზე ანიშნა და დაუმატა, — ტექნიკა მათ ზავშობაში შეიძინეს.

ბრაზილიელთა ყველა ტექნიკური თვისებებისა და ხერხების აღწერას დიდი ადგილი დასჭირდება. მთავარი მაინც ისაა, რომ მათთვის ტექნიკა სამკაული კი არაა, არამედ იარაღია. პირველად ვნახეთ ვარჯიშებში, რომლებიც არ გაუბრუნდნენ მცველებს, და პირიქით, ბურთის მიღებისთანავე მათკენ მიისწრაფოდნენ. რატომ? იმი-

ტომ, რომ უნდოდნენ მოეწინააღმდეგე გუნდის გამოც და დარწმუნებულნი არიან იმაშიც, რომ ვერც მცველი და ვერც სხვა მოთამაშე, რომელიც უსუსტად ვარჯიშობდა, ვერ წაართმევს მათ ბურთს. ბულგარელი ჟურნალისტი ამბობს, რომ დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა წინა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს ფიზიკური ძალით, მებრძოლი სულით და უხეშობით და ამით „მწვანე ქუჩა“ მისცეს ძალისმეორე ფეხბურთის, მათთვის წლით „გალიაში“ მოამწყვდიეს ნამდვილი ლამაზი და ტექნიკური სტილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბრაზილიელთა ვარჯიშება ყველა ქვეყნის ფეხბურთელებს გაუღვივებს კეთილშობილურ სურვილს — ითამაშონ ისე, როგორც თამაშობენ ისინი — ფეხბურთის „ჯადოქრები“.

სურათზე: ბრაზილიელი ფეხბურთელები აეროდრომიდან ქალაქში სახანძრო მანქანებით შეიყვანეს.



ლანჩუთი. დამთავრდა „კოლმეურნის“ სარაიონო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 8 გუნდი.

პირველი ადგილი დაიკავა სოფ. ლაშისელის ფრუნხეს სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა.

ი. სითაროვილი

გურჯაანი. სპორტსაზოგადოება „განთიადის“ პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობდა 6 გუნდი, გამარჯვება შეუქმნის ღვინის ქარხნის კოლექტივმა.

ბ. სირაზიანი

ონი. კომკავშირის მე-40 წლის თავს მიეძღვნა სარაიონო გათამაშება ფეხბურთში.

ონის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა ფინალში მოუგო ღვინის საშუალო სკოლის გუნდს და მოიპოვა თასი.

დ. ბერიშვილი

რედაქტორი ი. უბულაძე.

ა. გვიგანი

შხარაზე

ცად აზიდულა ქაღარა შხარა ცის, და მიწის სვეტად და ზღვარად, სად აზიდულა უკვადვი შხარა! სადაც უქმია ფრთები ფრინველთა, თვით მიწის მკერდის სუნთქვა მინელდა, ფრთებად შეისხით იმედი მწველი, რომ აგეტანათ ნება პირველთა: „თბილისის ათას ხუთასი წელი“. ბინას ეძებდით... სად იყო ბანა თოვზე ეკიდეთ სარგატა შორის. თრთოლვით ეკვროდა უინულის მინას სიცოცხლე, როგორც ფოთოლი წნორის. ჰგავს გველშაპის ყვითელ ხერხეშალს სპილენძისფერი ხერხე ბრეკების შხარა ქაღარას სისხლით ვერ ღებავს — და ქვების შერაც შეწყდეს ეგების ცად აზიდულა ამაყი შხარა, ცისა და მიწის სვეტად და ზღვარად. სძლიეთ უძლეველ უფსკრულთა ძრწოლას, მუჟა მხედრებმა, და ეს ედრება თბილისისათვის მოგებულ ბრძოლას! სხვამ ვინ შეიძლოს ცად აიჯანოს მონადირეთა ოცნება მწველი, და დაანაჟლოს უცნობ პიტალოს: „თბილისის ათას ხუთასი წელი“!

12-17 ნოემბერი

საპარტველო 1958 წლის პირველობა „ა“ კლასის გუნდებისათვის

12-17 ნოემბერი

ფ რ ე ნ ბ უ რ თ ი

მატჩები ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში დასაწყისი 12 საათზე.

სამაგალო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშება. მონაწილეობენ: თბილისის „დინამო“, სპვო, „გურამესტნიკი“, ქუთაისის „ლოკომოტივი“, თბილისის ვეპარანთა გუნდი, აზარისა და აზხაჯეთის ნაკრები და საპარტველო 1958 წლის ჩემპიონი.

ფ ე ნ ბ უ რ თ ი

8 ნოემბერი, „დინამო“ (თბილისი) — სპვო დასაწყისი 13 საათზე.

9 ნოემბერი, „გურამესტნიკი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) დასაწყისი 16 საათზე.

მატჩები გაიმართება თბილისის „დინამოს“ სტადიონზე

20-25 ნოემბერი

კადატბუკტი

საპარტველო 1958 წლის პირველობა „ა“ კლასის გუნდებისათვის

მატჩები ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში. დასაწყისი 12 საათზე.